სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად (იხ.:www.tsu.ge/qa/statute.htm), ENQA-ს (European Network of Quality Assuarance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივცრეში" (იხ.:www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf) მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2015 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
II. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება;
III. საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი;
IV. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში;
V. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
VI. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება;
VII. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება;
VIII. პასუხი შემოსულ კორესპონდენციებზე;
IX. პროგრამების აკრედიტაცია;
X. სხვა საქმიანობა.

I. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში:

2015 წელს თსუ აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა შემდეგი დადგენილებები:

- დადგენილება №7/2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის ამოქმედების შესახებ;
- დადგენილება №15/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №21/2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ;
- დადგენილება №22/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №25/2015 - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 თებერვლის №21/2015 დადგენილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
- დადგენილება №30/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანისა და ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
- დადგენილება №38/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №39/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №54/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

- დადგენილება №60/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №61/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №65/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №68/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №69/2015 - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 თებერვლის №21/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №70/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №83/2015 - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 თებერვლის №21/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №84/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №101/2015 - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის სასწავლო კურსების სილაბუსების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 სექტემბრის №91/2011 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №102/2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ;
- დადგენილება №113/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

- დადგენილება №125/2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016-2017 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ;
- დადგენილება №131/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №137/2015 - „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

2015 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო თსუ აკადემიური საბჭოს შემდეგი დადგენილებების მომზადებაში:

- დადგენილება №1/2015 - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №6/2015 - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 8 სექტემბრის №124 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
- დადგენილება №26/2015 - ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №55/2015 - ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 თებერვლის №10/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №59/2015 - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ;

- დადგენილება №94/2015 - „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №128/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება №120/2015 - ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 თებერვლის №33/2013 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

II. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება

2015 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი დოკუმენტებისა და სამუშაო ვერსიების შემუშავებაში:

- ბრძანება №:07/01-01 16.01.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) მიღებისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების თაობაზე;
- ბრძანება №:23/01-01 03.02.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) მიღებისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების თაობაზე;
- ბრძანება №:46/01-01 18.03.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილობრივ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაწილობრივ გავლასთან დაკავშირებული საქმისწარმოების წესისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ;

- ბრძანება №:01/03 28.04.2015 – 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების თაობაზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება №:68/01-01 07.05.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან ინტეგრირების სრულფასოვნების უზრუნველსაყოფად და ხარისხის გაზრდის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბრძანება №:02/03 07.05.2015 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საპილოტე კითხვარის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება №:113/01-01 16.07.2015 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის რეორგანიზაციის საკითხის განხილვისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბრძანება №:115/01-01 16.07.2015 - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის რეორგანიზაციის საკითხის განხილვისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ რექტორის 2015 წლის 16 ივლისის №113/01-01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბრძანება №:130/01-01 03.08.2015 - ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო პროგრამებზე ვაკანტური ადგილების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2015 წლის 3 ივნისის №:84/01-01 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ;
- ბრძანება №:163/01-01 14.09.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) მიღებისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგების თაობაზე;
- ბრძანება №:210/01-01 13.11.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების

მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის შესაბამისი დავალებების გაცემის თაობაზე;

- ბრძანება №:213/01-01 18.11.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტანდარტების მიმართ თვითშეფასებისა და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ბრძანება №:03/03 07.12.2015 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება №:203/02-01 16.12.2015 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსების კრიტერიუმების სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა.
- სასწავლო კურსის და პედაგოგის შეფასების კითხვარებისა და საუკეთესო პედაგოგის გამოსავლენი კრიტერიუმების განხილვაში მონაწილეობა;
- კოტუტელთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის კოტუტელის ფარგელბში გაცემული დიპლომის შაბლონის შემუშავებაში მონაწილეობა;
- 2015 წლის ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზში მონაწილეობა, რის საფუძველზე გარკვეული საბაკალავრო პროგრამების გამოცდებისათვის გაიზარდა კომპეტენციის ზღვარი;
- თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, თსუ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის მიერ მომზადებული დოკუმენტების პროექტებისა და წინადადებების განხილვაში მონაწილეობა;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესურასთან კონსულტაციების საფუძველზე ახალი დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობა ფაკულტეტზე ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამების შექმნის შესაძლებლობის ხელშეწყობის მიზნით;
- სან დიეგო - საქართველოს საბაკალავრო პროგრამებზე მობილობის პროცესისა და ფაკულტეტის სასწავლო კურსების არტიკულაციის ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამების

სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილის მოკლე ანოტაციების (სასწავლო კურსის მიზნები) ინგლისურ ენაზე მომზადებაში მონაწილეობა.

III. საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი

- პროფესორთა სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესის პროექტთან დაკავშირებული საფაკულტეტო სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით პროგრამების სრულყოფისა და სილაბუსების განახლების პროცესში მონაწილეობა;
- ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული ტექნიკური ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამების საკვალიფიკაციო აღწერებისა და სტრუქტურების მომზადება ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
- სილაბუსების მომზადება ელექტრონულ ბაზაში ასატვირთად;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების განახლების პროცესში მონაწილეობა;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მონიტორინგი;
- ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კომპეტენციის ფარგლებში სადისერტაციო საბჭოს სხდომებისთვის საკითხების მომზადებაში მონაწილეობა;
- ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტთა ჯგუფებთან, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან უკუკავშირის მიღებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- სტუდენტების გამოკითხვების ორგანიზებაში მონაწილეობა და გამოკითხვების შედეგების ანალიზის განხორციელება;
- სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ბიბლიოთეკისათვის სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის მოძიებისა და შეძენის მიზნით სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- გასული სემესტრის შეფასებების ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების პროცესის ორგანიზება;

- კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის სამაგისტრო პროგრამაზე, კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამასა და კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ახალი სასწავლო კურსების მომზადება და ტექნიკური ექსპერტიზა;
- პროფესიული პროგრამების „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“ და „ბუღალტერი (მესამე საფეხური)“ პროექტების შეფასება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- სამაგისტრო პროგრამის „ჯანდაცვის მენეჯმენტი“ პროექტის შეფასება, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ინგლისურენოვანი ახალი საბაკალავრო პროგრამის ,,ეკონომიკა“ პროექტის შეფასება, რეკომენდაციებისა და მოსაზრებების მომზადება;
- 2016 წლის ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა დაგეგმვის საკითხებზე მუშაობა.

IV. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში

- 2015 წლის 9-10 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ჟან-დომინიკ პოლაკის (პიერ და მარი კიურის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დირექტორი, პარიზი, საფრანგეთი) ევროპულ სადოქტორო განათლების შესახებ სემინარში მონაწილეობა;
- 2015 წლის 16-19 ნოემბერს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამის ტემპუსის მიერ დაფინანსებული პროექტის „აღმოსავლეთის სამეზობლო სივრცის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია კულტურული და სტრუქტურული ადაპტაციების გზით (PICASA)“ (პროექტის N 544125-TEMPUS-1-2013-1AM-TEMPUS-SMGR) ფარგლებში ჩატარებულ ვორკშოფსა და კონფერენციაში მონაწილეობა;
- ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობა **EUA Annual Conference ,,European Universities in Research and Innovation-People, Policy and Partnerships”** (ბელგია);
- ლოზანის უნივერსიტეტის პრორექტორის ვიზიტის ორგანიზება მედიცინის ფაკულტეტზე საერთაშორისო აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით;

- გრანადას უნივერსიტეტში (ესპანეთი) ერთთვიანი სტაჟირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში, პარალელურად შეხვედრები სამედიცინო განათლების სრულყოფის საკითხებზე, ერთობლივი პროექტის მომზადებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან და ადმინისტრაციასთან;
- ტემპუსის პროექტების მომზადებაში მონაწილეობა და კოორდინაცია;
- **Internationalization of doctoral training in biomedicine and health sciences in EU neighbour countries using current best practice [INTERDOC];**
- ნორვეგიის განათლების საეთაშორისო ცენტრში (ნორვეგია) წარსადგენი პროექტის მომზადებაში მონაწილეობა და კოორდინაცია;
- **"Georgian-Norwegian Collaboration in Public Health" (GeNoC-PH);**
- ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში (აშშ) წარსადგენი პროექტის მომზადებაში მონაწილეობა და კოორდინაცია;
- **"International Collaboration to increase Traumatic Brain Injury Surveillance in Europe - INITIatE"**
- სახელმძღვანელოში ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'' სამედიცინო განათლების ნაწილის მომზადება.
- მონაწილეობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობაში;
- მონაწილეობა ვორქშოფებსა და ტრეინინგ-სემინარებზე სწავლების მეთოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების შესახებ.

V. საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

- 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა–კითხვარის მომზადება;
- 2015 წლის მაგისტრატურის ანკეტა–კითხვარის მომზადება;
- სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის მომზადება;
- საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის მომზადება;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის მომზადება;

- საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის მომზადება;
- სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის მომზადება;
- 2016-2017 სასწავლო წელს გამოცხადებულ პროგრამებზე გამოსაცხადებელი სტუდენტების რაოდენობებისა და კომპეტენციების ზღვარის ანკეტა-კითხვარის მომზადებაში მონაწილეობა;
- ყოველწლიური თვითშეფასების კითხვარების მომზადება პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტების ხარისხის სამსახურებთან ერთად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარსადგენად;
- ფაკულტეტის აკრედიტებული სასწავლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) 2015 წლის თვითშეფასების ანგარიშების მომზადება;
- ფაკულტეტის აკრედიტებულ სასწავლო პროგრამებში 2014-2015 სასწავლო წელს მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების პირადი მონაცემების მომზადებაში მონაწილეობა;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის აკრედიტაციის და მიმდინარე მდგომარეობით ფაკულტეტის აკრედიტებული სასწავლო პროგრამების კურიკულუმების და სილაბუსების პაკეტის მომზადება;
- საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნით სივრცითი ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული ფაკულტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურიკულუმების და სილაბუსების პაკეტის მომზადება;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს პროექტის განხილვაში მონაწილოება და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების მომზადება;
- Erasmus+ ეროვნული ოფისის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთითა და ფონდის ,,ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის - საქართველოში პლაგიატის გავრცელებისა და მასთან ბრძოლისათვის აუცილებელი მექანიზმების შესწავლა - ფარგლებში ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ეფექტიანობის კვლევის ფარგლებში ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა;
- ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზაციის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

მიერ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისათვის ფაკულტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა ორმაგი აკადემიური ხარისხი, შესახებ ინფორმაციის მომზადება;

- ფაკულტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებული ინფორმაციის გადამოწმება;
- ძველი კურსდამთავრებულების ახალი დიპლომის ფორმისათვის საჭირო სავალდებულო მონაცემების დადგენა;
- ძველი კურსდამთავრებულების ხარისხების/კვალიფიკაციების მინიჭების ოქმებში დაშვებული ტექნიკური შეცდომები გასწორება.
- სააკრედიტაციოდ მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამები:

სამაგისტრო პროგრამები:

1. ,,სკანდინავისტიკა“;
2. „იურიდიული ფსიქოლოგია“.

სადოქტორო პროგრამები:

1. ,,დემოგრაფია“;
2. ,,ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება“;
3. „განათლების ფსიქოლოგია“.

პროფესიული პროგრამა:

1. ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორი“ (მეოთხე და მეხუთე საფეხური).

VI. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება

2015 წელს ფაკულტეტებისა და თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა მიერ საზგვარგარეთ გავლილი სასწავლო კურსების აღიარების პროცედურებში;

აგრეთვე Erazmus-ისა და სხვა გაცვლით პროგრამების ფარგლებში შესარჩევი სტუდენტების პირობითი კრედიტების ე. წ. წინასწარი აღიარებების პროცედურებში.

VII. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

2015 წელს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებთან ერთად მონაწილეობდა მობილობის პროცესში გადმოსული სტუდენტების თსუ-სა და სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურაში:

- 2015-2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა და გარე მობილობის ფარგლებში გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება;
- სან დიეგო - საქართველოს საბაკალავრო პროგრამებზე მობილობისთვის მოსამზადებელ პროცესში მონაწილეობა; აღნიშნული პროგრამების სტუდენტების კრედიტების აღიარების კომისიის შექმნა სან დიეგო - საქართველოს დეკანის კენეტ უოლშის მონაწილეობით და მათი კრედიტების აღიარება;
- Erazmus-ის, Erazmus+-ისა და სხვა გაცვლით პროგრამების ფარგლებში შესარჩევი სტუდენტებისთვის მათ მიერ გასავლელი სავარაუდო სასწავლო კურსების კრედიტების ე.წ. „წინასწარი“ აღიარება;
- Erazmus+-ის კონკურსში თსუ-ს სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობსათვის ინგლისურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობით ასზე მეტი საფაკულტეტო სასწავლო კურსის შერჩევასა და Erazmus+-ისთვის შეთავაზებაში მონაწილეობა.

VIII. პასუხი კორესპონდენციებზე

2015 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შევიდა 942, ხოლო გავიდა 822 კორესპონდენცია, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებს, სასწავლო პროგრამებს, სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებას, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.

IX. პროგრამების აკრედიტაცია

2015 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრირებით შემუშავდა, დამტკიცდა და აკრედიტაცია (მათ შორის, საერთაშორისო აკრედიტაცია) მიენიჭა ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს. ამასთან, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები. მათ შორის:

1. **საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას:**

- **FIBAA-ს სააკრედიტაციო საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამას - "საჯარო მმართველობა", მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია რეკომენდაციებისა და შენიშვნების გარეშე 5 წლის ვადით, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოს საუნივერსიტეტო ისტორიაში.**
  ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა" 2009 წლის დეკემბრიდან ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის სფეროში, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაზე დაყრდნობით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. 2 წლის განმავლობაში ლექციებს ქართველი და გერმანელი პროფესორები ატარებენ. პროგრამის პირველ წელს გათვალისწინებულია სტუდენტთა პრაქტიკა საქართველოს საჯარო სამსახურში, ხოლო მეორე წელს სტუდენტთა მივლინება ქალაქ შპაიერში (გერმანია) საზაფხულო სკოლაში, ასევე რამდენიმეთვიან პრაქტიკა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში.
  ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამ ახალი შესაძლებლობებისა და ახალი პასუხისმგებლობების წინაშე დააყენა ქართული განათლების სისტემა. სამაგისტრო პროგრამა "საჯარო მმართველობა" გახდა პირველი პროგრამა საქართველოში და მთლიანად კავკასიაში, რომელმაც საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა. ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს გახსნილი აქვთ გზა ევროპულ შრომის ბაზარზე. ხაზგასასმელია, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს ასევე აქვთ პერსპექტივა წარმატებით დასაქმდნენ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში.

2. **უნივერსიტეტთა საერთაშორისო კონსორციუმის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა ახალი სასწავლო კურსი:**

- საერთაშორისო პროექტთა შორის აღსანიშნავია კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორანტურის აკადემიური საფეხურისთვის ახალი სასწავლო კურისის: **„ანტიკური ტექსტები ციფრული ჰუმანიტარიის კონტექსტში (Classical Texts in the Context of Digital Humanities)“** შემუშავება კლასიკური ფილოლოგიის საერთაშორისო კონსორციუმის ფარგლებში, რომლის წევრებიც არიან: ტაფტსის უნივერსიტეტი (აშშ), ლიონის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), სან პაოლოს უნივერსიტეტი (ბრაზილია), ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია), სოფიის უნივერსიტეტი (ბულგარეთი), გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტი (ბერლინი), ჰარვარდის უნივერსიტეტის ელინისტიკის ცენტრი (ვაშინგტონი, აშშ), მილანის კათოლიკური უნივერსიტეტი (იტალია), ლაიპციგის უნივერსიტეტი (გერმანია). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნულ კურსს უძღვებიან პროფესორები: ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია, პროფესორი ლევან გორდეზიანი. **სასწავლო კურსის განხორციელებაში ონლაინ რეჟიმში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ამერიკელი და ევროპელი კოლეგები:** მარი–კლერ ბიულო (ტაფტსის უნივერსიტეტი, აშშ), მიშელ ბრუნე (ლიონის უნივერსიტეტი 2, საფრანგეთი), ანისე ფერეირა (სან პაოლოს უნივერსიტეტი, ბრაზილია), ნევენ იოვანოვიჩ (ზაგრების უნივერსიტეტი, ხორვატია), დიმიტარ ილიევი, მირენა სლავოვა (სოფიის უნივერსიტეტი, ბულგარეთი), ფრანჩესკო მამბრინი, რაინჰარდ ფერჩი (გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტი, ბერლინი, გერმანია), კენი მორელი (ჰარვარდის უნივერსიტეტის ელინისტიკის ცენტრი, ვაშინგტონი, აშშ), მარკო პასაროტი (მილანის კათოლიკური უნივერსიტეტი, იტალია), მონიკა ბერტი, ჯუზეპე ჩელანო (ლაიპციგის უნივერსიტეტი, გერმანია).

3. გრძელდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების შემუშავება და განხორციელება:

- საერთაშორისო პროექტთაგან უმნიშვნელოვანესია პროექტი, რომლის მიხედვითაც, სან დიეგოს უნივერსიტეტი აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტით, საქართველოს მთავრობისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახორციელებს სამ საბაკალავრო პროგრამას: „ელექტრული ინჟინერია“, „კომპიუტერული მეცნიერებები“ და „ქიმია (ბიოქიმიის განხრით)“. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ, საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2014 წელს გაიმართა „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ პროექტის პრეზენტაცია. პროექტის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისაგან შემდგარი კონსორციუმი საქართველოში საბაკალავრო პროგრამებს ახორციელებს. აღნიშნული უნიკალური საგანმანათლებლო პროექტის შედეგად, <u>კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში</u>. პროექტის ბიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარია. პროექტი ხორციელდება საქართველოსა და აშშ-ის

შორის 2013 წელს ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში პროექტების განხორციელებას. მომავალი 20 წლის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება ამერიკული და საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამები.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად 2015-2016 სასწავლო წლიდან უკვე დაიწყო აშშ სააკრედიტაციო სააგენტოს ABET-ის (Accreditation Board for Engineering and Technology, Inc.) მიერ აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამების - „ინჟინერია“, „ქიმია (ბიოქიმიის კონცენტრაცია)“ და „კომპიუტერული მეცნიერები“ განხორციელება.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობის ფარგლებში წელს უკვე მივიღეთ სტუდენტები ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებზე საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში. ეს სტუდენტები ისწავლიან საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამებზე და სწავლის დასრულების შემდეგ მიიღებენ როგორც თსუ-ს აგრეთვე სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომს. მათთვის ხელმისაწვდომი იქნება უახლესი ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიები. აგრეთვე შესაძლებლობა ექნებათ ერთი წლით გაემგზავრონ სასწავლებლად სან დიეგოში, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს მათ გამოცდილებას. ამის გარდა პროგრამის ფარგლებში ხდება აქტიური თანამშრომლობა თსუ-ს და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის. გასული სასწავლო წლის ფარგლებში განხორციელდა თსუ-ს 14 პროფესორ-მასწავლებლის (14-დან 8 ქალია) სასწავლო ვიზიტი სან დიეგოში. ტარდება ერთობლივი კონფერენციები. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ისნი ეცნობიან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ სწავლების მეთოდებს, ესწრებიან და ზოგიერთ შემთხვევაში ატარებენ ლექციებს, იზიარებენ გამოცდილებას.

ერთ-ერთი მსგავსი კონფერენცია 5 სექტემბერს გაიმართება თსუ-ში.

აღნიშნული ღონისძიებები შესანიშნავი შესაძლებლობაა პროფესორ-მასწავლებლებისთვის მათი პროექტებისა და კვლევების წარმოდგენისთვის, აგრეთვე ხელს უწყობს სტუდენტებს გაიცნონ ჩვენი მკვლევარები.

- TEMPUS - ის პროგრამის ფარგლებში დაფუძნდა და აკრედიტაცია მიენიჭა ახალ ინტერდისციპლინურ და ინტერსაუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამას „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“, რომელიც ევროკომისიის ტემპუს/ტასისის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება თსუ-ში, კავკასიის უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

- TEMPUS - ის პროგრამის („Reform of Education Thru International Knowledge Exchange“) ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლისაბონის უნივერსიტეტითან და დელფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტთან ერთად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაიწყო

მუშაობა ქართულ (თსუ და სტუ) და ევროპულ უნივერსიტეტებს შორის სადოქტორო და სამაგისტრო ორმაგი დიპლომის (Double Degree) პროგრამებზე „ურბანისტიკაში“.
„ურბანისტიკის“ სტუდენტები სადოქტორო პროგრამის გავლის შედეგად დაეუფლებიან როგორც თანამედროვე მეინსტრიმულ ურბანისტულ კონცეფციებსა და მიდგომებს, როგორიცაა „გონიერი ქალაქი“, „მწვანე ქალაქი“, „კრეატიული ქალაქი“, „ინკლუზიური ქალაქი“, „ქალაქის მიმართ უფლებები“, „კეთილმოწყობილი ქალაქი“ და სხვ., ურბანული კვლევების მეთოდიკას, მეწარმეობის ხელშეწყობას საქალაქო სივრცეში და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი მავნე შედეგების თავიდან აცილების მეთოდებს ურბანული დაგეგმვისა და დაგეგმარების მეთოდებით, ასევე ჩაატარებენ სადისერტაციო კვლევას საქართველოსა და მსოფლიოს ქალაქების აქტუალური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების გამოსავლენად. ისინი შეიძენენ ცოდნას ძირითადი დისციპლინებიდან, როგორიცაა ურბანული გეოგრაფია, ქალაქის ეკონომიკა, ურბანული სოციოლოგია, ურბანული დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა, უძრავი ქონების განვითარება, ქალაქის ეკოლოგია და სხვ.; ამასთან ერთად ისინი განავითარებენ კრეატიული აზროვნების, მოლაპარაკებისა და მოდერირების, პროექტის დიზაინის, მართვისა და ადვოკატირების უნარებს.

4. აკრედიტაცია მიენიჭა შემდეგ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს (2 სადოქტორო აკადემიური პროგრამა, 3 სამაგისტრო აკადემიური პაროგრამა, 2 საბაკალავრო აკადემიური პროგრამა:

- სადოქტორო პროგრამა - „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“;
- სადოქტორო პროგრამა - „კულტურისა და მედიის სოციოლოგია“;
- სადოქტორო პროგრამა - *Doctoral Programmes in Public Health and Social Science (PhDPHSS);*
- სამაგისტრო პროგრამა - „გენდერის კვლევა (ინგლისურენოვანი);
- სამაგისტრო პროგრამა - „კულტურისა და მედიის სოციოლოგია“;
- სამაგისტრო პროგრამა - „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“;
- საბაკალავრო პროგრამა - „მულტილინგვური განათლება (დაწყებითი განათლების საფეხური“
- საბაკალავრო პროგრამა - „რუსეთისმცოდნეობა“ (დამატებითი/მაინორ პროგრამა).

5. აკრედიტაცია მიენიჭა 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „აგროლოჯისტიკა (IV საფეხური)“;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „აგროლოჯისტიკა (V საფეხური)“.

6. შემუშავდა და ავტორიზაცია მიენიჭა 7 მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთა განხორციელების უზრუნველსაყოფად მოპოვებულ იქნა სათანადო დაფინანსება შესაბამისი აღჭურვილობის შესაძენად:

    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (V საფეხური)“;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ბიბლიოთეკარი (IV საფეხური)“;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „შემფასებელი (V საფეხური)“;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „საბაჟო საქმის სპეციალისტი (V საფეხური)“;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ტუროპერატორი (V საფეხური)“;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (V საფეხური)“;
    - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „სასტუმრო საქმის სპეციალისტი (IV საფეხური)“.

7. შემუშავდა და შიდა საუნივერსიტეტო ლეგიტიმაციის რეჟიმშია ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) „ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამა.

X. სხვა საქმიანობა

იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან არსებული კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ურთიერთობის ოფისის მუშაობის შესახებ:

ა) ინფორმაციის მოძიება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ:

მიმდინარე წელს დამუშავდა 15 საჯარო და 27 კერძო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაცია თსუ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. გაირკვა, რომ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში (ცალ–ცალკე) დასაქმებულთა 70% არის თსუ იურდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

საანგარიშო პერიოდში დაინერგა თსუ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის, მუდმივ რეჟიმში, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გზით, ინფორმაციის მიწოდება საჯარო და კერძო დაწესებულებებში არსებული ვაკანსიების შესახებ. კერძოდ, თსუ იურიდიული ფაკულტეტის 2996 კურსდამთავრებულს ეცნობა სტაჟირების ან არსებული ვაკანსიების თაობაზე შემდეგ დაწესებულებებში:

1. სს ბანკი ქართუ – ორჯერ; სხვადასხვა დროს გამოცხადებული კონკურსების თაობაზე;
2. სახალხო დამცველის აპარატი – სამჯერ; სხვადასხვა დროს გამოცხადებული კონკურსების თაობაზე;
3. სს ბაზისბანკში გამოცხადებული კონკურსების შესახებ;
4. პროკურატურაში გამოცხადებული სტაჟირების შესახებ;
5. სადაზღვევო კომპანია ალდაგი – ორჯერ; სხვადასხვა დროს გამოცხადებული კონკურსების თაობაზე;
6. სს თიბისი ბანკ კონსტანტაში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
7. ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
8. სს საქართველოს ბანკში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
9. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
10. ა(ა)იპ თბილისის ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
11. სს ლიბერთი ბანკში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
12. შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
13. სს ბანკ რესპუბლიკაში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
14. სამართლის სახლში გამოცხადებული კონკურსის შესახებ;
15. სს თიბისი ლიზინგში გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

ბ) ამასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და უზრუნველყოფის მიზნით, გრძელდება მუშაობა თსუ ვებ გვერდზე ოფისის სპეციალური გვერდის ამოქმედების მიმართულებით (კერძოდ, გაკეთდა აღნიშნული გვერდის ახალი სტრუქტურა; მოპოვებულ იქნა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც უნდა განთავსდეს

მითითებულ გვერდზე), რომლის პროექტი უკვე არსებობს (http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/law/alumni/home/). აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მოხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სხვა. ამ გვერდის ამოქმედება დაგეგმილია 2016 წელს.

გ) დამამთავრებელ კურსებზე მყოფი სტუდენტებისა და მაგისტრანტების დამსაქმებლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობა, დაინტერესებული მხარეების შეხვედრების ორგანიზებაში მონაწილეობა. მიმდინარეობს კომუნიკაციის დახვეწის მეთოდებსა და ხერხების გაუმჯობესებაზე მინტენსიური მუშაობა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა კვლევა (გაფორმდა სამაგისტრო ნაშრომის სახით):

- „დამსაქმებელთა საჭიროებების დადგენა სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით“. მოხდა ქართული კომპანიების მოთხოვნების იდენტიფიკაცია დასაქმების მსურველების (ფსიქოლოგები) მიმართ. შემუშავდა რეკომენდაციები.
- „უმაღლესი სასწავლებელების კურსდამთავრებული ფსიქოლოგების კომპენტენციების შესაბამისობა ორგანიზაციის მოთხოვნებთან“. გამოიყო ის კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია ადამიანური რესურსების სფეროში მომუშავე ფსიქოლოგების წარმატებული საქმიანობისთვის.